ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N10

2021 წლის 29 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩა N28-ის მიმდებარედ 6906,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.06.956) 40,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ავტოსამრეცხაოს მოწყობის მიზნით ფ/პ ბაჩანა გოგიტიძეს;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩა N28-ის მიმდებარედ 6906,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.06.956) 40,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის საწყისი საიჯარო საფასური განისაზღვროს 800 (რვაასი) ლარის ოდენობით;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი